

დავით გაბუნია

HOLLAND HOLLAND

(ერთმოქმედებიანი პიესა უფროსებისა და ახალგაზრდებისთვის)

2013

„მე შემიძრალა ვინძემ?“
დავით კლდიაშვილი

პერსონაჟები

თემური – 36, ქმარი

ინგა – 36, ცოლი

დათო – 19, მათი შვილი

ეკა – 36, ოჯახის უახლოესი მეგობარი, ნათლია, მეჯვარე და ა.შ. (უურნალისტი)

მოქმედების დროს – ახლა

მოქმედების ადგილი - აქ

სასურველია 12+ ასაკობრივი შეზღუდვის დაწესება სპექტაკლზე.

სცენა 1 . დასასრულის რეპეტიცია

სამუალო შეძლების ოჯახის სამზარეულო. ზომიერად უგემოვნო, გადაჭარბებისა და ხელოვნურობის გარეშე. აუცილებელი ატრიბუტიკა: მაგიდა, სკამები. მაგიდის თავზე დაშვებული სანათური, რომელიმე თბილი ფერით; ასევე ჭურჭლეულობა.

მოქმედება მთელს პიესაში სწორედ ამ სამზარეულოში ვითარდება და არასოდეს არ სცდება მას, რადგან სამზარეულო, როგორც ცნობილია, სახლის ყველაზე ბინძური ნაწილია, ყველაზე მნიშვნელოვანთან ერთად. ეს არის ერთი ჩვეულებრივი წყვილის, ჩვეულებრივი ფოთელების ოჯახი. მსახიობები ლაპარაკობენ ისე, როგორც ცხოვრებაში. არ არის საჭირო და მეტიც, უბრალოდ, დამღუპველი იქნებოდა ამ პიესისთვის ე.წ. „სწორი ქართულით“ მეტყველება. რადგან რეალურობის, ნამდვილობის შეგრძნებას პირველ რიგში სწორედ ბუნებრივი სამეტყველო ინტონაციები, დაუძაბავი, ნატურალური მეტყველება ბადებს – რაც, სამწუხაროდ, ასე ცუდ ტონად მიიჩნევა თანამედროვე ქართულ თეატრში. არადა, ხომ ნარმოუდგენელია, არაიმერულად ითამაშოს მსახიობმა კლდიაშვილი ან კაკაბაძე? სწორედ ამავე მიზეზით, მეც მოვითხოვ, რომ ფოთელი პერსონაჟები ფოთურად მეტყველებდნენ. სხვა შემთხვევაში ხელოთ შეგვრჩება სიყალებე, რაც არავის არ უყვარს და ამაში, ვგონებ, მე სულაც არა ვარ გამონაკლისი.

მაშასე – ეს სტანდარტული ოჯახია, სტანდარტული წყვილი – ისინი ძალიან ადრე დაქორნინდნენ, რაც სრულიად ჩვეულებრივ მოვლენად ითვლება ჩვენში – ამიტომ ჰყავთ ამხელა შვილი, რომელიც ლამის უმცროს ძმად ერგებათ ასაკით, ვიდრე შვილად. კიდვე ჰყავთ ოჯახის მეგობარი – ბავშვობიდან გამოყოლილი დაქალი – აქაც არაფერი განსაკუთრებული, რომ არა მისი პროფესია – ეკა (ასე ჰქვია დაქალს) უურნალისტია და აქედან იღებს სათავეს ყველა უბედურება თუ ბედნიერება. მაგრამ ხომ გახსოვთ, „ყველა ბედნიერი ოჯახი ერთმანეთს ჰგავს, უბედურება კი ყველას სხვადასხვანაირი ეწვევა ხოლმე.“

ერთი სიტყვით, ამ ოჯახმა ბედნიერება უკან მოიტოვა, მაგრამ მოდით, მოვლენებს ნუ გავუსწრებთ.

იმ დღეს, 2013 წლის 7 მარტს, ეკა გადაცემას ამზადებდა ადგილობრივი ტელევიზიისათვის. სარვამარტო გადაცემა – მეგობრების წყვილზე უკეთესს ვის შეარჩევდა, დიდხანს ეხვენა და ბოლოს დაითანხმა კიდეც. უცნაურია, მაგრამ თემური სულაც არ ყოფილა ნინააღმდეგი; აი, ინგა კი ეკას უდიდესი ხათრით და დიდი ხვენნა-მუდარის შემდეგ დათანხმდა ამ საქმეს. ჰოდა, თავი რომ დაეზღვიათ და პირდაპირ ეთერში სირცხვილი არ ეჭამათ, გადაწყვიტეს, რეპეტიცია გავიაროთ.

თემური და ეკა სამზარეულოს მაგიდასთან სხედან, დაბალ, თბილ განათებაში. ინტიმური გარემოა. ინგა ფაიფურის ჩაიდნიდან უსხამს თემურს ფინჯანში ჩაის. თბილად ულიმის, ორ კოვზ შაქარს უყრის, თვითონვე ურევს. თემური მადლიერების ნიშნად საპასუხო თბილ ღიმილს აგებებს. ეკა მოშორებით ზის, მაყურებლისკენ

ზურგით, წყვილის პირისპირ. საქმე ისაა, რომ „სატელევიზიო“ დაყენებული, სწორი ქართულით ლაპარაკს ცდილობენ, არაბუნებრივად – ერთმანეთში კი სასაუბრო ინტონაციას უბრუნდებიან.

ინგა: ძლივს დავიყვანე ორ კოვზ შაქარზე. მე რომ ამ ოჯახში შემოვედი, ხუთს იყრიდა.

ეკა: გვიამბეთ, როგორ გაიცანით ერთმანეთი.

თემური: კაი ეხლა, გოგო...

ეკა: (ანყვეტინებს)დააცადე, ბიჭო!

თემური: ხო, კაი.

ინგა: რა მოგიყვე, გო? ცოლად როის მომიყვანა?

ეკა: ეთერში მიზამ ამას და მოგკლავ! რა გკითხე, ვერ გაიგე? როდის გაიცანით ერთმანეთი?

ინგა: „პროფილივით“ მოვყვე?

ეკა: ხო, ხო.

ინგა: კაი.

თემური: აუ, ჩართავს აგი ეხლა. წავალ მე, რამეს გავაკეთებ.

ეკა: იჯექი მაქ, რას ქვია, წახვალ?!

ინგა: კაი, მართლა, თემური, რა გჭირს?!

თემური: ხო, კაი, კაი. თქვენ რო შეუჩებით კაცს...

ინგა: ა, უყურე ეხლა ამას! მე შეგიჩტი, ბიჭო? სულ არ მინდოდა მე, შენ მეხვეწე აქით.

ეკა: ვსიო, გვეყოფა ეხლა. თავიდან დავიწყოთ ერთხელაც. ესე იგი, გადით ჯერ და რო გამოგაცხადებთ, შემოდით სტუდიაში.

(წამოაყენებს ორივეს და გასასვლელისკენ უბიძგებს.)

და რო შემოხვალთ, ხელი ჩაკიდეთ ერთმანეთს.

ინგა: პადრუჩკი გავუკეთო?

ეკა: ხო, ხო, მიდით ეხლა, გადით.

(გადიან. ეკა მაყურებლისკენ პირით დგება. პაუზა. იღიმის, თვალს მოავლებს პუბლიკას და დაყენებული, სატელევიზიო მეტყველებით იწყებს...)

ეკა: საღამო მშვიდობისა, ძვირფასო მეგობრებო – დღეს სამშაბათია და ტრადიციულად ეთერშია თქვენი საყვარელი თოქ-შოუ „სცენები ნამდვილი ცხოვრებიდან“. დღეს, მოგეხსენებათ, 8 მარტია და ქალბატონები, კაცობრიობის ეს უმშვენიერესი მეორე ნახევარი, ხშირად „სუსტ სქესად“ რომ იხსენიებენ, მათვის მიძღვნილ დღეს ზეიმობენ...

თემური: (გარედან) ე, გოგო, გამოაცხადე აწი!

ეკა: ჩუმათ იყავით თქვენ მაქ! რომელი ქალი არ ოცნებობს ბედნიერ ოჯახზე, მეუღლის ძლიერ მკლავზე, საიმედო და დაცულ, უსაფრთხო ცხოვრებაზე... (ჩერდება) თემური, ინგა!

ინგა: (თავს შემოყოფს) რაია, გო?

ეკა: „მეუღლის ძლიერი მკლავი“ ნამეტანი ხო არაა?

ინგა: კაი ახლა, მაგი მერე მოიფიქრე. დროზე ვქნათ, გამოგვაცხადე.

ეკა: კაი, ხო! მიდი, გადი და გამოგაცხადებთ.

(ინგა გადის)

ჰოდა, დღეს წარმოგიდგენთ ახალგაზრდა ოჯახს, რომელსაც მიუხედავად ასეჭი პატარა ასაკისა, მრავალწლიანი თანაცხოვრება აკავშირებს. ისინი ფოთელების სიამაყის, განერელიების გვარის ღირსეული გამგრძელებლები არიან. მიესალმეთ – თემური განერელია და მისი მეუღლე ინგა შამათავა- განერელია!

(პაუზა)

ე, ბიჯო, შემოდით აწი!

(თემური და ინგა შემოდიან, ცოტა უხერხულად, მეცადინეობა დააკლდათ აშკარად. ინგას სახეზე ყალბი ღიმილი ახატია.)

ეკა: (კბილებში გამოსცრის) ხელი!

ინგა: რა?

ეკა: ხელი-მეთქი.

ინგა: ა, ხო! (ხელკავს გამოსდებს თემურს)

ეკა: მობრძანდით, მოგესალმებით და პირველ რიგში, დიდი მადლობა, რომ
დაგვთანხმდით გადაცემაში მონაწილეობაზე.

(უხერხული პაუზა)

კიდევ დიდხანს უნდა იდგეთ ახლა მასე? დაჯექით, გო, რამდენჯერ უნდა
გითხრათ!?

თემური: ა, ხო! (დაჯდება)

ეკა: თემური!

თემური: აა, ხო!

(დგება, სკამს გამოსწევს და ინგას შესთავაზებს. ინგა ჯდება, თემური მხოლოდ ამის
შემდეგ იკავებს თავის ადგილს.)

ეკა: გადაცემაში რო აურიოთ რამე, მოგკლავთ ორივეს.

ინგა: მიდი, მიდი, გააგრძელე!

ეკა: ინგა, შეგიძლიათ მეუღლეს ჩაით გაუმასპინძლდეთ.

(პაუზა. ელოდება)

დაუსხი, ქალო, რას ელოდები!

ინგა: სად დავუსხა, შენც კიდევ! ასხია აქ უკვე!

ეკა: კაი, ვითომ დაუსხი. ახლა შაქარზე რო თქვი წელან, თქვი იგივე და
გავაგრძელოთ.

ინგა: კაი. მე რომ ამის ოჯახში შემოვედი, ჩაიში ხუთ კოვზ შაქარს იყრიდა. რა იყო,
მტრის ოჯახში ხო არა ხარ-მეთქი, ვუთხარი და ძლივს ჩამოვიყვანე ორ
კოვზზე. (იცინის)

ეკა: თემური, შენც გაიცინე და რამე ისეთი თქვი: „ხო, კი, ეგრე იყო..“. ინგა, „ამის“
და „იმის“ არ ილაპარაკო ეთერში. სახელი აქვს შენ ქმარს – მე რომ თემურის
ოჯახში შემოვედი – ან, განერელიების ოჯახში შემოვედი, ასე თქვი.

ინგა: კაი.

თემური: დააყენეთ ეს მამაჩემი საფლავში...

ეკა: (აწყვეტინებს) ინგა, რადგან დღეს ქალთა საერთაშორისო დღე აღინიშნება,
მოდით, თქვენგან დავიწყოთ...

ინგა: გო, თქვენობით რო მელაპარაკები, მეუხერხულება რაღაცა...

ეკა: ასე უნდა ტელევიზიაში, ნუ მასწავლი. მოდით, თქვენგან დავიწყოთ – მოგვიყევით, როდის გაიცანით თქვენი მომავალი მეუღლე, თემური განერელია. როდის დაიწყო თქვენი რომანი.

ინგა: უი, შენ მოისპე იქით, რომანი არა ისა...

ეკა: (მკაცრად) ჰე, ეხლა! თორე თემურის ვკითხავ, იცოდე.

თემური: კაი, ქე მაინც, თუ გავახსენდი ვინმეს.

ეკა: თემურ, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, თქვენ და თქვენი მომავალი მეუღლე, ინგა შამათავა, კლასელები იყავით. რომელი სკოლა დაამთავრეთ?

თემური: მეხუთე საშუალო; ინგა მეათე კლასში გადმოვიდა ჩვენთან.

ეკა: მანამდე სად სწავლობდით, ინგა?

ინგა: პირველ სკოლაში, მერე ჩემმა მშობლებმა ბინა გაყიდეს და ოსტროვში გადავიდნე...

ეკა: (მკაცრად) ინგა!

ინგა: კუნძულის უბანში გადმოვიდნენ საცხოვრებლად. აქ მეხუთე სკოლა უფრო ახლოს იყო და მეც ამიტომ გადმომიყვანეს მეხუთეში.

ეკა: გახსოვთ პირველი შეხვედრა?

თემური: მე ხშირად ვაცდენდი სკოლას, ხო მოგეხსენებათ ახლა, მეათე კლასში ვიყავი, შატალო, რამე – აქეთური-იქითური, ხოდა, ინგა რომ გადმოსული იყო ჩვენ კლაში, მერე გავიგე, გვიან.

ინგა: დიდი ავარდნილი ბიჭის სახელი ქონდა, გოგოები გიუდებოდნენ ამაზე.

ეკა: (მკაცრად) ინგა!

ინგა: გიუდებოდნენ თემურიზე.

თემური: (კმაყოფილი) კი, მასე იყო...

ეკა: პირველად როდის შეგიყვარდათ ერთმანეთი?

ინგა: რას ქვია, პირველად შეგვიყვარდა?

ეკა: კაი, ხო, როდის შეგიყვარდათ ერთმანეთი?

თემური: ნუ, ეხლა, შეგვიყვარდა რა, მე მომენტია თავიდან.

ინგა: ხო, თემურის მოვენონე.

თემური: გრძელი თმა ქონდა მაშინ, წელამდე.

ინგა: ბავშობიდან ვიზდიდი, დედაჩემი არ მაჭრევინებდა, აცხონოს ღმერთმა იმის სული.

თემური: ეს თმა გაშლილი ქონდა სულ.

ინგა: თალიკო მასწავლებელი მეჩეუბებოდა, რას დადიხარ გაპუნული, თმა შეიკარიო.

თემური: პირველად ფისკულტურაზე დავინახე. ფისკულტურა რა, ბიჭები ეზოში ფეხბურთს ვთამაშობდით, გოგოები იჯდენ და გვიყურებდნენ.

ინგა: არაა მართალი, ტყუილად კი არ ვიჯექით, ვბალეშიკობდით...

ეკა: გულშემატკივრობდით. მერე?

თემური: გოგოებს ფორმასაც არ აცმევდნენ, უმოწმებდა მასწავლებელი და თუ ქონდათ მოტანილი, ნიშანს უწერდა. ბიჭებს გვათამაშებდენ ფეხბურთს.

ეკა: და ინგა როდის და რა ვითარებაში გაიცანით?

თემური: წავიქეცი იმ დღეს, მუხლი დავარტყი მაგრად, გადავიტყავე.

ეკა: მერე მოყვებით, რო ამან გიმკურნალა, სულს გიბერავდა გადატყავებულზე, სანამ იოდს გისვამდა და თვალებით შეხვდით ერთმანეთს.

ინგა: მეტი შენ რა გითხარი...

ეკა: მერე უცბათ გადავალთ პირველ კოცნაზე. ინგა, თქვენი პირველი კოცნა თუ გახსოვთ?

ინგა: (იმორცხვებს) რამდენი წელი გავიდა.

თემური: მე ვაკოცე, ძალით. დერეფანში გამოვიჭირე და ვაკოცე.

ეკა: სად აკოცეთ?

თემური: სად ვაკოცებდი, ტუჩებში.

ეკა: ხალხი იყო იქ?

თემური: სად, კაცო?

ეკა: დერეფანში.

თემური: ნუ, ეხლა, ხალხი რა... კი, იყვნენ მოსწავლეები.

ეკა: ინგა, თქვენ არ შეგრცხვათ?

ინგა: კაი ეხლა, შენ იქ არ იყავი, არ გახსოვს, რა ვთხლიშე სახეში?

ეკა: გოგო, მე რო მახსოვს, რა შუაშია? მოყევი წესიერად – მაყურებელს მოუყევით, როგორი რეაქცია გქონდათ, როცა თემურმა პირველად გაკოცათ.

ინგა: როგორი რეაქცია მქონდა, როცა თემურიმ მაკოცა?

ეკა: დიახ, როგორი.

ინგა: როგორი და რა ვიცი, ვწეპე სახეში.

ეკა: სილა გააწანით, ესე იგი.

ინგა: ხო.

თემური: უფ, ისე მგლიჯა, კინალამ დამაგდო.

ეკა: მაგი არ მოყვე, არ დამღუპო. მოკლედ, შემდეგ რა მოხდა, ინგა? როდის გაგიჩნდათ საპასუხო გრძნობა თემურისადმი?

ინგა: თავს არ მანებებდა, სულ რაღაცეებს მჩუქნიდა. თან, ყველა გოგოს თემური მონაბეჭდა და მე რომ ამომარჩია, მსიამოვნებდა მაინც. ერთხელ ჩემ დაბადების დღეზე ეზოში ცეცხლის გული დამინთო – და წარწერა კიდევ: თემურის პლიუს ინგა უდრის გულს.

ეკა: თქვენმა მშობლებმა არაფერი გითხრეს?

ინგა: უი, ისეთი მკაცრი იყო მამაჩემი! სახლიდან არ მიშვებდა ერთ კვირას. მობილური მაშინ არ იყო და არაფერი. ძალიან მომენატრა თემური და მაშინ მივხვდი, რომ მიყვარდა.

თემური: ხო, ბებიაშენისამ...

ეკა: (მკაცრად) თემური, მიატოვე!

ინგა: არა, ამას ხო არ შეუძლია, სიტყვაში რო არ ჩაგიხტეს...

ეკა: (აწყვეტინებს) გააგრძელე, შენც!

ინგა: მერე მალე მოხდა ყველაფერი. მამაჩემთან დავიფიცე, იმ ბიჭს არ დაველაპარაკები-მეთქი და გამიშვა სახლიდან. შენ დაბადების დღეზე იყო, ეკა, იმ დღეს, ხო...

ეკა: ჩვენი საერთო მეგობრის დაბადების დღეზე – რამდენჯერ უნდა გაგაფრთხილო.

ინგა: ხო, კაი. ჩვენი კლასელის დაბადების დღეზე თემურიმ ცოტა დალია და მითხრა, ცოლად გამომყევიო.

თემური: დავლიე და მოვწიე კიდე.

ეკა: მაგას ეთერში არ იტყვით. არ გადამრიო.

თემური: ამოჭერი შენც.

ეკა: რა ამოვჭრა, ბიჭო, პირდაპირი ეთერი? სამსახურიდან გინდა გამაგდონ?

თემური: კაი, ხო, არ ვიტყვი.

ეკა: ცოლობა გთხოვათ...

ინგა: ხო.. დიახ.

ეკა: დათანხმდით?

ინგა: შენ თუ არ გამომყები, თავს მოვიკლავო... მეც მიყვარდა და...

ეკა: რამდენი წლისები იყავით მაშინ?

ინგა: 16-ის.

ეკა: რა რომანტიულია, ფოთელი რომეო და ჯულიეტა...

ინგა: ნუ, ხო, მარა ჩვენ ქე ვართ ჯანმრთელად.

თემური: კი, როგორ არა.

ეკა: ოჯახურმა ცხოვრებამ ხო არ მიაყენა ჩრდილი თქვენს სიყვარულს? არ გაგიჭირდათ ამხელა პასუხისმგებლობა ასეთ მცირე ასაკში?

ინგა: გამიჭირდა რომელია, მარა დედამთილი შემხვდა კარგი და ის მასწავლიდა ყველაფერს. ძალიან მადლობელი ვარ – იზო დეიდასი...

თემური: კი, როგორ არა.

ეკა: თემური, ხო გთხოვე!

თემური: კაი, ხო.

ეკა: ასე გახდით განერელიების ოჯახის რძალი, თქვენს ადგილას ყოფნას ბევრი ფოთელი გოგო ინატრებდა...

თემური: და არა მარტო ფოთელი..

ინგა: კი, როგორ არა.

ეკა: აგერ უკვე რამდენი წელია, მეუღლეები ხართ...

ინგა: 20 გახდება ივნისში.

ეკა: 20 წელია, ცოლ-ქმარი ხართ და შეიძლება ითქვას, ისევ ისე გიყვართ ერთმანეთი, როგორც სკოლის ასაკში. როგორ მოახერხეთ ამ სიყვარულის შენარჩუნება?

ინგა: რა ვიცი, აბა.

ეკა: ჩვენს მაყურებელ ქალბატონებს დააინტერესებთ თქვენი გამოცდილება, მოგვიყევით...

ინგა: ჩვენი შვილი, დათო, 19 წლის ხდება.

ეკა: ამხელა შვილი გყავთ, დაუჯერებელია!

თემური: 36-ს გამოაკელი 20, ერთი 9 თვე ორსულობის მოაკელი და ნახე. რაა, გოგო, დაუჯერებელი?

ინგა: ხო, მოკლედ, ხელათ დავორსულდი. დათუნა რო გამიჩდა, 17 წლის ვიყავი. კი ვერ ვხვდებოდი, რო ჩემი შვილია. მე თვითონაც ბავშვი ვიყავი და აბა რა იქნებოდა. მანამდე გამხდარი ვიყავი, მაგრამ ორსულობაში მოვიმატე, რა დაიჯერებ, რამდენი – 35 კილო.

თემური: ბევრს ჭამდა.

ინგა: ხო, ღამე ვჭამდი, გვიან. მერე, რო ვიმშობიარე, კი დავიწყე ვითომ დიეტა, მაგრამ ჯერ ძუძუს ვაძლევდი ბავშვს...

ეკა: ეთერში „ძუძუ“ არ თქვა, გოგო.

ინგა: აბა, რანაირად ვთქვა?

ეკა: რა ვიცი... (ფიქრობს) ნუ, კაი, თქვი.

ინგა: ერთ წლამდე ჭამდა ძუძუს. ბავშვი სუქდებოდა, მარა მე ვერ დავიკელი ვერაფრით. ვისაც მე გოგოობაში ვახსოვარ, არ დაიჯერებს. სურათი შემიძლია განახოთ.

თემური: რათ უნდა, გოგო, ამას სურათი, არ იცის ისედაც?

ეკა: თემური, აცადე. მაყურებელმა ხო არ იცის. დიახ, სიამოვნებით დავათვალიერებდით თქვენს საოჯახო ფოტოალბომს.

ინგა: მოვიტან ეხლავე.

(წამოხტება, გადის. თემური და ეკა უხერხულად ელოდებიან. პაუზა)

ეკა: თემური...

თემური: რა იყო?

(პაუზა. უხერხულ სიჩუმეს ინგას დაბრუნება არღვევს)

ინგა: ძლივს ჩამოვილე, შკაფის თავზე იდო. სასწაული მტვრიანია, გავწმინდავ ეხლა, მაცა...

ეკა: დაანებე თავი, მაგ სურათებს მაინც ცალკე გადაიღებს ოპერატორი და მერე პერებივკებათ ჩავსვამთ.

თემური: არ გეყოფა ეხლა ეს მაიმუნობა?

ინგა: რა გინდა, თემური?

თემური: რა რა მინდა, არაფერი არ მინდა მე.

ეკა: კაი ეხლა, თქვენი ჩხუბის ნერვები არ მაქვს.

ინგა: შენ აიჩემე ეს გადაცემა და მე მეჩხუბები აქეთ? რამე არის ჩემი ბრალი? 20 წელია, ხმას რო არ ვიღებ... ფეხებზე კიდია ყველას, მე რა მიჭირს და კიდო აქით მეჩხუბები?

თემური: წაიღო ტვინი.

ეკა: როგორმე, გადაცემას თუ არ ჩამიგდებთ ხვალ, კაი იქნება. რას დამთანხმდით, თუ არ გინდოდათ?

თემური: შენც რა გააწყალე გული, მოვალთ, ნუ გეშინია.

ინგა: ხო, მოვალთ. გაწერელიების ოჯახი ხო არ უნდა შევარცხვინოთ. სხვა ყველაფერი გადასარევადაა და ერთი რძალი შეხვდათ უმადური, მარა არა უშავს.

თემური: ენას ნუ ატლიკინებ, ქალო, შენ!

ეკა: კარგი-მეთქი, ეხლა!

ინგა: (ეკას) გავაგრძელოთ? მოკლედ, მე და ჩემი მეუღლე იდეალური წყვილი ვიყავით, ბიჭი რო გავაჩინე, ჩემმა მამამთილმა თემურის მანქანა აჩუქა – მე გავაჩინე, მარა მე ხო არ მაჩუქებდა, ამას აჩუქა – ბიჭს გაკეთება არ უნდოდა, აბა? თემურის მშობლები არაფერს არ გვაკლებდნენ. ახლა რომ ვთქვა, ძალიან მდიდრები ჩვენ არ ვყოფილვართ, მაგრამ არც გვაკლდა რაიმე. თემური

მამამისმა პორტში მოაწყო – ზაური გაწერელიას კი იცნობდა და პატივს ცემდა
მთელი ფოთი და...

ეკა: ჩვენი ქალაქის სიამაყე, ჯერ კოლხიდმშენის, შემდეგ კი, გარადაცვალებამდე
პუორის გამორჩეული თანამშრომელი...

თემური: მაგას მე მიხსნი? (იცინის)

ეკა: ბიჭო, არ იცნობს ახლგაზრდობა ცნობილ ხალხს, მამაშენის სახელი არ გაუგია
ახალ თაობას.

ინგა: ჰოდა, სანამ ჩემი დედამთილ-მამამთილი ცოცხლები იყვნენ, არაფერი არ
გვიჭირდა.

(უხერხული პაუზა)

ეკა: (იპნევა, თავის ქალალდებში იქექება) მერე რა მოდის?

თემური: ჩემი ფეხები.

ეკა: (გაკვირვებული ახედავს) რა?

თემური: ჩემი ფეხები მოდის მერე.

(წამოხტება და ალენილი გადის ოთახიდან)

ეკა: რა დაემართა ეხლა ამას?

ინგა: ეწყინა.

ეკა: რა ეწყინა, გოგო?

ინგა: იცის მაგან, რაც.

ეკა: ინგა, 8 მარტის გადაცემა რო გამიფუჭოთ, არ გაპატიებ, ყველაფერი
მომიკვდეს!

ინგა: კაი, გოგო, ნუ ნერვიულობ, მოვალ, მოვალთ.

(კარზე ზარის ხმაა)

ინგა: დათუნა, ღიაა კარი! მოაწექი!

სცენა 2. შვილი. დედა.

(შემოდის დათო. ეკას გადაკოცნის, დაინახავს ჩაის ფინჯანს)

დათო: ეს ვისია?

(არ დაელოდება პასუხს, მოსვამს ჩაის)

ფუ, რამდენი შაქარი უქნიათ, რა ტკბილია.

ეკა: (ინგას) ეს ბავშვიც გაიდაიყვანე ხო, შენს ჭკუაზე? მოზარდია ეს, არ შეიძლება შაქრის ნაკლებობა ორგანიზმისთვის

ინგა: მოზარდია, კი, როგორ არა.

ეკა: რას შვები ეხლა, დათო, ცოლი ხო არ მოგყავს?

დათო: კი.

ეკა: ხოო? როდის?

დათო: მალე.

ეკა: მერე, მე ნათლიაშენი ვარ თუ ვინ ვარ, ახლა უნდა ვიგებდე ამას?

ინგა: ნათლიას ჩივი? დედა ვარ აგერ და მე ვერ ვხვდები, ამას რა უნდა. როდის შაყირობს, როდის..

დათო: არ ვშაყირობ. მართლა მომყავს ცოლი.

ეკა: (იცინის) მოგვესწრო, გოგო, ბიჭი!

ინგა: კაი, გაჩერდი, ერთი...

დათო: რა გაცინებთ, კაცო! ჩემი კლასელი მომყავს, თინიკო.

ინგა: ძაძამიების გოგო?

დათო: ხო. თინიკო.

ეკა: (იცინის) ქორწილია, ესე იგი.

ინგა: საჭმელი გაგიცხელო?

დათო: ქალო, არ გესმის შენ? ცოლი მომყავს-მეთქი.

ინგა: კაი, შენ თვითონ გაიცხელე მაშინ, უზდელო.

(დათო დასწვდება ჭიქას, კედელს ესვრის. ჭიქა იმსხვრევა. პაუზა. ხმაურზე შემოდის თემური)

თემური: რა ხდება, კი მარა, აქ?

დათო: ცოლი მომყავს.

თემური: ვინ მოგყავს?

დათო: ცოლი.

თემური: ჰოდა, ვინ-მეთქი, ვინ? ცოლად ვინ მოგყავს?

დათო: თინიკო, ჩემი კლასელი.

ინგა: ძაძამიების გოგო.

თემური: სად მოგყავს მერე, მამა, ცოლი?

დათო: რას ქვია, სად? აქ.

ინგა: დედა, მომისმინე ეხლა. თინიკო ძალიან კარგი გოგოა, კარგ ოჯახში გაზდილი, პატიოსანი, მაგრამ ცოლი, დედა, ცოტა ადრე ხო არაა შენთვის?

დათო: მაგას შენ მეუბნები?

თემური: წესიერად ელაპარაკე დედაშენს!

დათო: ცოლი მინდა.

თემური: კაი, დავჯდეთ და დავილაპარაკოთ.

(მხოლოდ თემური ჯდება. დანარჩენები დგანანს და თემურს უყურებენ. უხერხული სიჩუმეა.)

ეკა: მე წავალ, ტელევიზიაში მელოდებიან.

ინგა: იყავი, გო, სა მიდიხარ. რა მაქ შენგან დასამალი.

თემური: (დათოს) მოდი აქ და დაჯექი.

(დათო ჯდება. თემური ხელს გადახვევს ძმაბიჭურად. ქალები კრძალვით და მოლოდინით უყურებენ ამ სცენას, ცდილობენ, არ ჩაერიონ)

თემური: მამა, მეც ვიყავი შენხელა და ვიცი, ახლა რას ფიქრობ ჩემზე. მარა, კაი, კაცო, რა დროს შენი ცოლია ჯერ. სად გაგექცევა, რა გეჩქარებათ...

დათო: მიყვარს.

თემური: ძალიან კარგი მერე, თუ გიყვარს, მაგას რა ჯობია, მამა, მარა ამიტომ
აუცილებლად ცოლად უნდა მოიყვანო, კაცო? თან ახლა არ გვაქვს საქმე
მაინცდამაინც კარგად, ხო იცი, ჩემი სამსახურის ამბები... რის ხარჯზე ვქნათ
ეს საქმე? რა გეჩქარება, მომისმინე...

დათო: მიყვარს.

თემური: ე, ბიჯო, გევიგეთ, გევიგეთ! გიყვარდეს, კაცო, ვახ!

(თემური ხელს მოაშორებს. ინგა დათოს დაადგება თავზე, თმაზე ეფერება)

ინგა: ერთი წელი ისედაც გაგიცდა, დედა. წელს მაინც რო გვეცადა მოწყობა?
იხვეწება დეიდაჩემი, დათო ჩემთან გამოუშვით, ბინის პრობლემა მე არ
მაქვსო. ზედ უნივერსიტეტთანაა. ხო იცი, როგორი გადაყოლა იცის, არაფერს
არ მოგაკლებს.

დათო: არ მინდა მე სწავლა.

ინგა: ჯერ ისწავლეთ, თინიკოც ჩააბარებს, თბილისში იქნებით ორივე, ხელს არ
შეგიშლით არავინ.

ეკა: მართალს გეუბნებიან, დათო, გაახილე ჯერ თვალი. რა იცი, თბილისში რა
ხდება? რატომ უნდა იჩქარო? იქნება ვინმე სხვა შეგიყვარდეს.

(დათო წამოტხება, გარბის, კარს გაიჯახუნებს. ინგა თითქოს გაყოლას დაპირებს,
მაგრამ გადაიფიქრებს.)

ეკა: იყავი შენ, მე გავყვები. ჭკუაზე უნდა მოვიყვანო. სულელი ბავშვი, რა ცოლი
მოუგონია ეხლა. წავალ, დაველაპარაკები.

თემური: მიდი, ხო.

(ეკა გადის. ინგა აცილებს. თემური გაცივებულ ჩაის მოსვამს, იჯღანება. ინგა
ბრუნდება, თემურს პირისპირ ჩამოუჯდება და დიდხანს უსიტყვოდ უყურებს.
მერე ააცლის ჩაის ფინჯანს და ჩაიდანს და სარეცხი ნიჟარისკენ მიაქვს.
თემური თვალს ადევნებს ცოლის მოქმედებას. ახლა ქალი არიდებს მზერას.
თემური ხელს წაავლებს, სკამზე ლამის ძალით დასვამს)

თემური: მომისმინე ერთი წუთი.

ინგა: გეთქვა და ისედაც მოგისმენდი.

თემური: დაელაპარაკე შენ შვილს.

ინგა: შენ გგონია, მე მიხარია ეს ამბავი?

თემური: ხოდა, დაელაპარაკე.

ინგა: გშია?

თემური: რა გვაქვს?

ინგა: ლობიოს სუპი.

თემური: დედასშევეცი.

ინგა: კაი, არ ჭამო მაშინ.

(დგება, გასასვლელისკენ მიდის, თემურის რეპლიკაზე ჩერდება)

თემური: ჯონიმ დამირეკა პორტიდან, კადრების უფროსმა.

ინგა: (ზურგით უდგას) მერე?

თემური: არაფერი.

ინგა: ხო ვამბობდი.

თემური: ხო, შენ მაგარი ხარ, ყველაფერი იცი. ყავაზე უმკითხავე ხალხს და ავშენდებით, რათ გვინდა მუშაობა საერთოდ.

ინგა: თემური, რა გინდა?

თემური: რა მინდა? არაფერი არ მინდა მე.

ინგა: დათოს მეც დაველაპარაკები, შენც უთხარი რამე და იქნება გადაიფიქროს.

თემური: არ გადაიფიქრებს. შენ გგავს მთლათ. რამეს რო იტყვი, კაციშვილი ვერ შეგაცვლევინებს აზრს.

ინგა: ჭამა არ გინდა? მშიერი ხარ მთელი დღე.

თემური: კაი, ხო, დამისხი.

(ინგა მიდის ქვაბთან. მაყურებლისკენ ზურგითაა, უსხამს ღრმა თეფშზე ლობიოს წვნიანს და მაგიდაზე უდგამს. ოდნავ დაბნეულია.)

თემური: კოვზი?

ინგა: ა, ხო. (კოვზს აწვდის)

(თემური იწყებს ჭამას)

თემური: რა იყო, ამჟავებული ხო არა, რა გემო აქვს.

ინგა: არა, ცოტა მარილი მომივიდა მეტი.

თემური: რას მიყურებ პირში, მაცადე ჭამა.

ინგა: (თვალს მოაშორებს) ბიჭო, ამ ბოლო დროს უცნაური სიზმარი მესიზმრება, სულ ერთი და იგივე, ვითომ მე და შენ ასე ვზივართ კუხნაში. შენ ჭამ და მე გიყურებ...

თემური: ნამეტანი უცნაური ყოფილა. (იცინის, ჭამას აგრძელებს)

ინგა: არა, მეტი არ შემიძლია.

(გარბის. მალევე შემობრუნდება, ჩემოდანი და რამდენიმე კაბა მოაქვს. ჩემოდანს სკამზე დებს, კაბებს ზედ აყრის და ისევ გარბის ოთახიდან.)

თემური: (ჭამას წყვეტს) რას აკეთებ? (უყვირის) ინგა!

(ინგა ბრუნდება, კიდევ რამდენიმე კაბა და მსგავსი მოაქვს)

ინგა: მივდივარ.

თემური: რას ქვია, მიდიხარ?!

ინგა: სახლიდან მივდივარ.

თემური: სა მამაჩემის მამასთან?

ინგა: დეიდაჩემთან ვიცხოვრებ, თბილისში. მერე ვნახავ რამეს.

თემური: ხო არ გააფრინე, ქალო, შენ?

ინგა: თემური, შემომხედე.

თემური: რა?

ინგა: ვერაფერს ვერ გრძნობ?

თემური: რა უნდა ვიგრძნო, გოგო?

ინგა: მუცელი არ გიწრიალებს?

თემური: რას ბოდიალობ?

ინგა: სუპი კი გიჭამია ბოლომდე და...

თემური: ... რა?

ინგა: თხუთმეტ წუთში უნდა იმოქმედოს წესით.

თემური: რამ უნდა იმოქმედოს გოგო?

ინგა: ჯერ დაიწყოს მოქმედება და მერე გეტყვი.

თემური: რაღაცამ მომიჭირა.

ინგა: სად?

თემური: (ყრუდ) მმმ...

ინგა: მუცელი გტკივა?

თემური: (მუცელზე ხელებს შემოიხვევს, ჯდება) რა მაჭამე, გოგო?

ინგა: ვირთხის საწამლავი ჩაგიყარე. წესით, 10 წუთში უნდა მოგკლას. 5 კი გავიდა უკვე.

თემური: (უფრო ძლიერი ტკივილისგან იკრუნჩება) ჩემი ტელეფონი სადაა?

ინგა: მე მაქვს და არ მოგცემ, დავმალე.

თემური: რას მიკეთებ, შენი დედა მოვტყან!

ინგა: რა რას გიკეთებ? გკლავ, აქამდე თუ ვერ მიხვდი.

თემური: (სკამიდან ნელ-ნელა დაეშვება იატაკზე, მუცელი ხელით უჭირავს, პერიოდულად ჩუმად კვნესის) მიშველეთ...

ინგა: ოხ, კაი ერთი, რა გგონია, ვინ გიშველის? შეეგუე ახლა იმ აზრს, რო მოკვდები. ვერავინ ვერ გიშველის მაინც.

თემური: რატო მკლავ, შენი დედა მოვტყან...

(ბოლო გინებისთვის ხმა აღარ ჰყოფნის. აქედან მოყოლებული მხოლოდ კონვულსიურ მოძრაობებს აკეთებს, კარგა ხანს ხროტინებს, გმინავს და ბოლოს ჩუმდება. სცენის ბოლომდე უძრავად გდია, მაგიდიდან კარისკენ მიმავალ გზაზე. ამასობაში ინგა ჩემოდანს ალაგებს. საგულდაგულოდ ასწორებს და კეცავს თითოეულ კაბას. თემურის კვდომა პარალელურად ხდება)

ინგა: დედა, თემური – რა ვიპოვე, ნახე! ეს კაბა გახსოვს? სკოლის ბანკეტისთვის რო ვიყიდე. დედაჩემი კი მეუბნებოდა, ბავშვიანი ქალი ხარ, რა დროს შენი ბანკეტიაო, მარა მაინც ხო წავედი, ბიჭო. რა ტანი მქონდა მაინც, ამაში როგორ ვეტერიდი? რათ მინდა ეხლა ეს კაბა, მეტი არაა ჩემი მტერი, მე ასეთ ტანზე დავდგე, მარა იყოს მაინც. რო შევხედავ, გულს გაუხარდება.

(კეცავს, ჩემოდანში დებს.)

უი, მოიცა, ამისი ტუფლებიც ხო მაქვს...

(გარბის ოთახიდან. თემური ცდილობს, კარისკენ გაბობლდეს, მაგრამ ძალა არ ჰყოფნის, მისავათებული მიეგდება შუა გზაზე და ხროტინებს. შემორბის ინგა, ძალიან მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი მოაქვს თან. შეამჩნევს თემურის გადაადგილებას)

ინგა: სა მიხვალ, ბიჭო? მასე ადგვილათ გაგიშვებ გონია? დაიცადე ცოტა ხანს და მოკვდები და წადი მერე სადაც გინდა. შეხედე – ეს ტუფლები გეცნობა? ბანკეტზე მეცვა ესეც. კინალამ რომ ჩამოვარდი და შენ რო შემაგინე, თუ არ იცი ამ ქუსლებზე სიარული, რას დაეთრევიო. ერთხელ მეცვა მარტო. მინდა ახლა ესენი მე? მარა, რა იცი, რა ხდება, იქნებ დამჭირდეს, ეგდოს მაინც. თან, მთლად უხმარებია. დეიდაჩემი გამოსული ქალია, რა ვიცი, სად წამიყვანს, ვისთან, რამე ხო უნდა მქონდეს მეც გამოსასვლელი, მათხოვარივით ხო არ ვიქნები, ხალხი რას იტყვის? უი, თემური, შეხედე – გეცნობა ესა? ნუ, კაი, ხო, ასი წლის ამბავია და რა გემახსოვრება. შენმა ზურიმ რო გითხრა, რა ბოზივით აცვია შენ ცოლსო. პირველად მაშინ დამარტყი, ბიჭო. დედა, რა მეტკინა. უცებ ვერ მივხვდი, რა მოხდა, დამიბნელდა თვალში, მერე ცხვირში ვიგრძენი რაღაცა, სისხლი მომაწვა თურმე, მარა, რა ვიცოდი, სისხლი თუ იყო. სანამ კაბა არ მომეთხვარა, კი ვერ მივხვდი. ძლივს ამოვიყვანე ლაქები, რაც მე ეს ვრეცხე. დედაჩემმა მასწავლა, თურმე სისხლიან ლაქაზე სოდა უნდა დააყარო ცოტა და გააჩერო ერთი საათი და ისე გარეცხო მერე. უყურე შენ, აქ უკვე ცოტა მომატებული ვყოფილვარ. ახლა თუ ჩამეტევა ნეტავი ეს? ეგდოს მაინც. რამდენი რაღაცა მახსენდება, ამას რო ვუყურებ. ეკა მეუბნება, რათ გინდა, გო, ამდენ ნაგავს რო ინახავო, მარა როგორი გადასაყრელია, მენანება. ისე, რა უბედურებაა აგი, რა ფერები მყვარებია, ჭრელ-ჭრელი სულ. თეთრი არ მაქ არაფერი. ა, შეხედე, შავები დაიწყო – რო გავსუქდი იქიდან – მე, შენ და დათუნას რო გვაქ სურათი, გახსოვს? დათუნა ვირზე ზის, ბაკურიანში, შენ უქუდოთ ხარ – ეს მეცვა იმ სურათში. რამდენი წლისაა იქ დათუნა? სამის ან ოთხის. რა მახსოვს მასე ზუსტათ. გრძელმკლავებიანი, მაღალი ყელით, ესეც იყოს. ამ კაბით აბორტებზე დავდიოდი სულ, როგორ დაემთხვა მაინც, ყველა ზამთარში მაქვს გაკეთებული. კი უკვირდა იმ ქალს, როგორ ახერხებ ასე ზუსტათ, ქმარი მათემატიკოსი ხო არ გყავსო. ნავიღებ ამასაც, მარა ორივე საკვერცხე იქ დავტოვე და ძაან დამჭირდება. კიდე კაი, დათუნა გვყავს, დიდი ამბავი ეხლა, მეორე თუ არ გავაჩინე. სპირალი მაინც ჩაიდგიო, ის ქალი მეუბნებოდა, მარა ეკამ გამირკვია, არ ნავარგება თურმე სპირალი. ეხლა მაინც სულერთია, მაგრამ მიმაქვს ეს კაბაც.

(ჩაკეცავს, ჩადებს)

უი, თემური, რას მივხვდი, იცი? მართლა მიყვარდი, დედას ვფიცავარ, მარა პატარები ვიყავით და რა გასაკვირია. ხოდა, რას გეუბნებოდი, რას მივხვდი-მეთქი, იცი? რამდენი ხანია, არ მიყვარხარ. მოიცა, გადავითვალო. დედაშენი რო დავასაფლავეთ, იმ ღამეს, არ მინდა-მეთქი, ხო გეხვენე, ვკვდებოდი, ისეთი

დაღლილი ვიყავი, მარა მაინც შენი გაიტანე. გული ამერია მერე. რა იყო, კიდე ორსულად ხო არ ხარო, რო მკითხე, გახსოვს? უცებ მივხვდი, ბიჭო, რო მეზიზლება შენ გვერდზე წოლა. შენი სუნი მეზიზლება, ვერ ვიტან, ჭამის დროს რო პირს ანკლაპუნებ, მარა მაშინ მეგონა, რო გამივლიდა. სულ სიყვარული და კაი ცხოვრება ვისა აქვს? სადაა მასე. მარა, არ გამიარა, ბიჭო. დათუნა რო იზრდებოდა, სულ მეშინოდა, შენ არ დაგემსგავსოს-მეთქი, თორე კიდე ერთ შენისთანას მე ვერ გავუძლებდი ამ სახლში. მადლობა ღმერთს, გარეგნობით მამაჩემს დაემსგავსა, მარა შენსავით ჯიუტია.

(პაუზა. აკვირდება სხვა კაბას)

ეს შენ მაჩუქე – რატო მაჩუქე, არ მახსოვს. უი, ხო, გამახსენდა, ათი წლის თავი გვქონდა ჩვენი ქორწილის. დედაშენმა გაგახსენა, ალბათ, თორე შენ რას გაგახსენდებოდა. მეტი არაა ჩემი მტერი... კაი, იყოს ესეც. ბიჭო, ახლა რო მოგკლავ და დათუნას დავაობლებ, მაგაზე ბევრი ვიფიქრე წინასწარ. შენ რა გეგონა, არ ვიფიქრებდი? ხო, გეგონოს შენ მასე, რო უტვინო ვარ და აზროვნება არ შემიძლია. შენ ხო არ გავინყდება, კლასში ყველაზე კაი მოსწავლე რო ვიყავი, დაუე ეკაზე უკეთესი! დეიდაჩემი მპირდებოდა, სკოლას რო დაამთავრებ და თბილისში მოეწყობი, ჩემთან იცხოვრებო. კი, როგორ არა. მაგრა დავამთავრე და მოვეწყვე.

(პაუზა. თემურს გახედავს. თემური დიდი ხანია უკვე, არ იძვრის)

ეხ, თემური, თემური. შენც შტერი იყავი და მეც. მოვხიკავ კიდევ რაღაცებს და წავალ. ჩემი მიმაქ ყველაფერი, შენ რა გაქ წასალები მაინც...

(კეტავს ჩემოდანს, გააქვს. თემური წამოდგება, ტანსაცმელს ჩამოიფერთხავს, გაისწორებს, დაჯდება ისევ იქ, სადაც იჯდა. შემოდის ინგა. დაბნეული მიაჩერდება, თვალები ცრემლიანი აქვს)

თემური: რა იყო, ქალო, რას მიყურებ?

ინგა: ა, არა, არაფერი.. ამ ბოლო დროს უცნაური სიზმარი მესიზმრება და უცებ ვიფიქრე, რომ...

თემური: რა სიზმარია ამისთანა?

ინგა: რა და, ვითომ მე და შენ ასე ვზივართ კუხნაში... (პირისპირ დაუჯდება) შენ ჭამ და მე გიყურებ.

თემური: ეუფ, ნამეტანი უცნაური სიზმარი ყოფილა...

ინგა: თემური, როგორ მოვიქცეთ?

თემური: რაზე?

ინგა: დათუნამ რო ცოლი მოიყვანოს ეხლა, რა უნდა ვქნათ?

თემური: გამორიცხულია. დაველაპარაკები მე კაცურად, გავაგებინებ.

ინგა: თემური...

თემური: რა იყო?

ინგა: არაფერი.

თემური: თქვი, რა გინდა.

ინგა: (მშვიდდება) არაფერი არ მინდა, თემური. მე რა უნდა მინდოდეს, არაფერი.

თემური: კაი ეხლა, შენი ნერვი არ მაქვს.

ინგა: სამსახურში მაგვიანდება.

თემური: სამსახური თორე, შენც არ იყო ეხლა ის...

ინგა: ჭამა ხო გვინდა.

თემური: დამადლებული საჭმლის დედაც მოვტყან!

(თეფშს ხელს აკრავს, ნარჩენი წვნიანი მაგიდაზე გადმოიღვრება. ინგა იმწამსვე მივარდება, ტილოთი წმენდს. თემური მაჯას დაუჭერს, თავისკენ მიიზიდავს, გაუგებარია, ცემას უპირებს თუ ჩახუტებას, ნებისმიერ შემთხვევაში, ძალით უჭერს ხელს)

ინგა: (შეშინებული) თემური...

(მოულოდნელად შემოდის ეკა. თემური ინგას ხელს უშვებს)

ეკა: ხელი შეგიშალეთ, გო?

ინგა: (შვებით) შემო, შემო. მაგვიანდება მე, სამსახურში უნდა გავიქცე.

(გადის. უხერხული სიჩუმეა. ეკა თემურს აკვირდება)

თემური: დათოს ელაპარაკე?

ეკა: კი.

თემური: რაო, მერე?

ეკა: შეჯდა ჯორზე, არ მაინტერესებს, უნდა მოვიყვანო.

თემური: ახვარი ბალანა.

ეკა: შენც უნდა უთხრა რამე, კაცი ხარ მაინ...

(შემოდის ინგა, საგარეო ქურთუკმოცმული)

ინგა: წავედი მე. 9-ისთვის მოვბრუნდები. დაელაპარაკე მანამდე დათოს. კარგად,
ეკა.

(გადის)

სცენა 3. ნამდვილი მამაკაცი. ნამდვილი მამა.

ეკა: ხელი ხო არ შეგიშალეთ, შემთხვევით?

თემური: კაი ერთი.

ეკა: არა, რა ვიცი.

თემური: მიდი, კარი გადაკეტე.

ეკა: გაგიჟდი?

თემური: მიდი-მეთქი.

(ეკა კართან მივა, გადაკეტავს. თემურს უბრუნდება. თემური წელზე მოხვევს ხელს,
მუცელზე სახით ეხუტება)

თემური: ჯონიმ დამირეკა.

ეკა: ვინ ჯონიმ?

თმეური: უპრავლენიიდან, კადრების უფროსმა.

ეკა: მერე?

თემური: წელს არაფერი არ გვექნებაო, ტყუილა ჩვენ იმედზე ნუ იქნებიო.

ეკა: ინგას უთხარი?

თემური: კი.

ეკა: რაო, მერე?

თემური: რას მეტყოდა, მაგის ამბავი ხო იცი – ასეც ვიცოდიო.

ეკა: კაი, არ ინერვიულო, ვიზამთ რამეს.

თემური: კი, ჩემ ფეხებს ვიზამთ.

ეკა: ტელევიზიაში მე რო მეკითხებოდეს ვინმე, რაზეა ლაპარაკი, მაგრამ...

თემური: მაგიტომ არ მითქვამს.

ეკა: ხო, არა. ვიცი, მაგრამ მაინც...

(თემური პირზე ხელს ააფარებს, კალთაში ჩაისვამს და ეფერება. ეკა აჰყვება)

ეკა: იქით გავიდეთ, ფანჯრიდან გამოვჩდებით აქ.

(თემური ხელს მოაშორებს)

ეკა: რა იყო?

თემური: არაფერი.

ეკა: (სხვა სკამზე გადაჯდება) ინგა ხო მუშაობს, შენც ნახავს რამეს.

თემური: რას ვნახავ, გოგო? ის არ მეყოფა, ჩემი ცოლი რო ოფისებს ალაგებს, ახლა მეც ტუალეტები ვხეხო? ქუჩაში არ გავიდე საერთოდ?

ეკა: არა, მე არ მითქვამს...

თემური: არ გითქვამს, ხო. აბა, სხვა რ აუნდა ნახო ამ დამპალ ქალაქში, ბლიად?!
მუშად მე ვერ ვიმუშავებ, ერთ კვირაში მომეტყნება კარგის ტრაკი და
უფროსად ვინ დამნიშნავს, ან რატო უნდა დამნიშნონ...

ეკა: მასე როცა ფიქრობ, უარესია.

თემური: უარესი ისაა, ამ გამოყლებულმა ბალანამ ცოლის მოყვანა რო მომინდომა
აქ. რა ჩემი ფეხებით ვარჩინო ახლა მე მაგისი ცოლი?

ეკა: თვითონაც იმუშავებს და იქნება რამე...

თემური: თუ ძმა ხარ რა! იმუშავებს არა ისა.

ეკა: (თმაზე მოეფერება) შენსავით ნიჭიერი თუ აღმოჩნდა...

თემური: (მოიცილებს) გეყოფა, არ ვარ ხასიათზე.

ეკა: ცოტას მე დაგეხმარებით...

თემური: (იცინის) შენ რასაც მაძლევ, სიგარეტის ფულია. შენ ხარჯზე მოვაყვანინო
ბიჭს ცოლი?

ეკა: მაშინ დაელაპარაკე და აუხსენი, მე ველაპარაკე უკვე და არ მომისმინა.
მეუზდელა ბოლოს, რა გინდა, რას გადამეკიდე, დედაჩემი ხარ თუ მამაჩემიო.
კინალამ ვუთხარი, არა, დედინაცვალი-მეთქი. უხ, ისე მომშალა ნერვებზე. შენ
გგავს – ჯიუტი.

თემური: ქორწილი ხო უნდა? რითი გადავიხადო? კაი, დავუშვათ, ვისესხე, მერე
რითი დავაბურნებ? სად შემომივა მაგდენი ჩანტერებით? მერე მარტო ქორწილი
ხო არაა? რამდენი რამე უნდა კიდე...

ეკა: მე ვაჩქუებ რაღაცეებს, ბოლოს და ბოლოს, ნათლია ვარ და მეკუთვნის ჩუქება.

თემური: რამე გავყიდო-მეთქი, რო ვიფიქრე, რა ჩემი ფეხები მაქ რო გასაყიდი?
მამაჩემის თოფი? ჰა-ჰა, 500 დოლარად გაიყიდოს მაქსიმუმ, ისიც ვის რათ
უნდა.

ეკა: ბიჭო, იქნება საზღვარგარეთ გეცადა წასვლა?

თემური: (ხელს წაატანს) მერე შენ რა გეშველება, ხო დამირჩები დაუჩინჩლავი?

ეკა: დებილი ხარ ამხელა კაცი! (ხუმრობით დაჰკრავს ხელს)

თემური: ფიზიკური მუშაობა იქ უფრო ადვილია თუ? რამდენს გავქაჩავ – ჰა, გაწიე-
გამოწიე, ერთ წელს. მერე აქით ვიქწები მოსავლელი, თან რომელი ტული
გვასალია მე ვარ, ერთი ენა მაინც ვიცოდე.

ეკა: ენა არაა პრობლემა, ისწავლი იქ, დიდი ამბავი. მოკლედ, უნდა გავაკრვიოთ,
როგორ ხდება და ვინ აკეთებს ამ ამბავს.

თემური: მერე, წასასვლელი ფული? შენ გგონია, ისე გაგიშვებს ვინმე?

ეკა: მაგას ჩემს თავზე ვიღებ მე. როგორმე გიშოვი. რო გექნება, მერე დამიბრუნებ.

თემური: რამდენ რამეს იღებთ თავზე ეს ქალები, კაცო.

ეკა: აბა, რა ვქნათ, როცა კაცი არ ვარგია...

(ხვდება, რომ აწყენინა)

კაი, ვიხუმრე, ბიჭო. გეწყინა მართლა? რას სულელობ ახლა. მე მაინც ვიცი
შენი კაცობის ამბავი, სხვა თუ არაფერი. (იცინის, თემური წატანება) თემური,
მიატოვე ახლავე!

თემური: (თავს ანებებს) სიგარეტი გაქ? დილიდან არ მომიწევია.

ეკა: (იქექება ჩანთაში) მოიცა, ვნახავ.

(აწვდის წვრილი სიგარეტის კოლოფს)

თემური: დამსკია? ფუფ, არ მინდა.

ეკა: შენ მოწევა არ გდომია, თორე რა მნიშვნელობა აქვს, დამსკია თუ რაა...

(თემური ართმევს სიგარეტს, უკიდებს. ეწევა. ეკა ჩანთიდან იღებს კონვერტს,
რომელშიც ფული დევს. მაგიდაზე დებს და თემურისკენ მიაჩოჩებს. თემური
დახედავს, ერთ წამს შეჩერდება, მერე ჯიბეში იდებს კონვერტს. კარს ვიღაც
ეჯაჯგურება, ზარს რეკავს. ეკა წამოხტება, გარბის გასაღებად. შემოდის
დათო)

დათო: რას ჩაკეტეთ კარი?

ეკა: ინგამ ჩაკეტა, ეტყობა, რო გადიოდა. ხო იცი, აყოლილია ეგ პანიკას,
კრიმინალები გამოვიდნენ ციხიდანო და რა ვიცი...

(თემური შვილის დანახვაზე სიგარეტს აქრობს)

დათო: ეკა, სამსახურში გაგვიანდება.

თემური: ნუ ეუზდელები ნათლიაშენს.

ეკა: კაით ეხლა, ჩემი გულისთვის ნუ იჩხუბებთ, ისედაც მივდიოდი უკვე-
ნახვამდის, დათუნა.

(ლოყაზე კოცნის და გადის. მამა-შვილი დიდხანს უხმოდ უყურებენ ერთმანეთს.
ვერცერთს ვერ გადაუწყვეტია ლაპარაკის დაწყება)

თემური: სიგარეტი გაქვს?

(დათო გაკვირვებულია. ჯიბიდან იღებს კოლოფს და აწვდის. თემური უკიდებს,
ეწევა)

თემური: (გაულიმებს) მიდი, მიდი, შენც მოწიე.

დათო: აქ მოვწიო? შენთან?

თემური: მიდი, მიდი. დიდი ხარ უკვე.

(დათო უკიდებს, ეწევა)

თემური: მდას. მომესწრო ბიჭი. (თავისას ჩააქრობს) რა ვქნათ, მამა?

დათო: რაზე მეუბნები?

თემური: რაზე უნდა გეუბნებოდე? ცოლის მოყვანაზე გეუბნები.

დათო: რა უნდა ვქნათ? მომყავს.

თემური: როდის?

დათო: რავი, მალე.

თემური: მალე მაინც როდისაა? დრო რამდენი მაქვს?

დათო: დრო?

თემური: ხო, მამა, დრო.

დათო: „მამას“ რო მეძახი, მიტყდება.

თემური: რატო, არ ვარ მამაშენი?

დათო: არა, კი ხარ, მარა...

თემური: კაი, არ დაგიძახებ. კაცურად დავილაპარაკოთ მაშინ. შენ მითხარი ახლა,
როგორ ფიქრობ ამ ყველაფერს.

დათო: რას?

თემური: ცოლი, ამბავი, რამე-რუმე...

დათო: რა უნდა ვიფიქრო?

თემური: ჯერ ერთი, ქორწილი ხო უნდა გადავიხადოთ.

დათო: მერე?

თემური: მერე ბავშვი გეყოლებათ...

დათო: ვიზამთ რამეს.

თემური: კი, როგორ არა.

დათო: კაი, დაწყნარდი.

თემური: წყნარად ვარ ისედაც. (პაუზა) მოდი, პირდაპირ გეტყვი, რათ მიღწა ეხლა ეს ზედმეტი ლაპარაკები – რა აიტეხე, მამა, ეს ცოლის მოყვანა, სად გეჩქარება?

დათო: მიყვარს.

თემური: გიყვარდეს, კაცო, მერე, ვინ გიშლის? მარა ასე ადრე ცოლის მოყვანა, რა ვიცი მე...

(დათო უსიტყვოდ უყურებს, თვალს არ აშორებს)

თემური: ვიცი ახლა მე, შენ რასაც ფიქრობ. მაგრამ მაინც კარგად დაფიქრდე, იქნება. ქე მაინც, კარგად მოიფიქრე და მერე...

დათო: ორსულადაა.

(პაუზა)

თემური: რამხელაა?

დათო: პატარაა ჯერ, ექიმთან არ ყოფილა.

თემური: აბა, საიდან იცის?

დათო: ის რო არ მოუვიდა, ტესტი იყიდა აფთიაქში.

თემური: ხოო...

დათო: მაგიტო ვჩქარობთ. მოკლავს მამამისი, თუ გაიგო.

თემური: და მერე ვერ მივხდება, თუ მათემატიკაში სამიანი ყავდა?

ათო: მერე უკვე ჩემი ცოლი იქნება.

თემური: უკვე უთხრა ვინმეს ეს ამბავი?

დათო: ჯერ მარტო მე ვიცი.

თემური: ძალიან კაი. რამდენისააო, რა მითხარი?

დათო: არ ვიცი, ჯერ პატარა იქნება.

თემური: კაი, მამა, ახლა მომისმინე (იღებს ეკას მოცემულ კონვერტს და მაგიდაზე უდებს დათოს) აიღე ეს ფული, ვიცი, რო არ გეყოფა, მაგრამ ამაღამ დანარჩენსაც ვიშოვი. მოკლედ, ახლა რა უნდა ქნათ – ვინმე თავისი დაქალი წაიყვანოს, შენ არ წაყვე, თორე გაიყიდებით. წავიდნენ ზუგდიდში, ან ბათუმში ჯობია. თუ გინდათ, ქუთაისიც შეიძლება. მე გავიგებ ნომრებს. მოკლედ, დილას ჩავა, საღამოს ჩამოვა უკან, არაა მაგი რთული საქმე. აიღე ეხლა ეს ფული და მოიცა, უცებ გადავრეკავ და დანარჩენსაც ვიშოვი.

დათო: რისთვის?

თემური: რა რისთვის, ბიჭო? აბორტს არ ეყოფა ეს, მარა მოიცა...

დათო: არა.

თემური: რა?

დათო: რაც გაიგე.

თემური: მამა, მომისმინე.

დათო: ხო გითხარი, მიტყდება „მამას“ რო მეძახი-მეთქი.

თემური: კაი, დათო, დაწყნარდი ეხლა და მომისმინე, აიღებ ამ ფულს

დათო: არაფერს არ ავიღებ. არ გაიკეთებს აბორტს.

თემური: აბა, რა ვქნათ?

დათო: ცოლად მოვიყვან.

თემური: ადრეა, ბიჭო.

დათო: შენთვის არ იყო ადრე? 16 წლის იყავი, მე ცხრამეტის ვარ...

თემური: მაინც უნდა მათქმევინო ხო? რა ჩემიყლე მოვიგე მერე, 16 წლისამ ცოლი რო მოვიყვანე? ვზივარ აგერ შენთან ერთად და რა? სად მქონდა ჭკუა, არც მამაჩემს არ უთქვამს არაფერი და არც არავის. მე გეუბნები და გამიგონე. არაა არაფერი რთული ამ საქმეში, დილით წავა, საღამოს ჩამოვა, ვითომ არაფერი არ მომხდარა.

თემური: მამაო არ მიცემს კურთხევას.

დათო: ეუხ, გამაცინე ეხლა! ტყნაურის კურთხევა ხო გქონდათ, რას ლაპარაკობ! კურთხევა კი არა, ტვინი უნდა დააყოლო ამხელა კაცმა, რას აკეთებ, თორე იქნები ჩემსავით მძღნერში – ამოხვედით ყელში ყველანი, შენც და დედაშენიც და ყველა. არაფერი არ მინდა, არც მუშაობა არ მინდა, არც დალევა და არც არაფერი. რა მოვიგე მერე, ჩემხელა შვილი რომ მყავხარ – რა მეცოლებოდა! ახლა რო შემეძლოს...

დათო: შენ ხო გიყვარდა ინგა.

თემური: კი, მიყვარდა, როგორ არა.

დათო: მეც მიყვარს თინიკო.

თემური: გიყვარს არა, ჩემი ფეხები. ეგრე გგონია ახლა, მერე გავა ერთი-ორი წელი, მოგბეზრდება და შეგრჩება ბავშვიანად აკიდებული ოჯახი. ჩემსავით. შენთვის ვამბობ, მარა არ გინდა გაგონება და...

დათო: (წამოდგება) იქით კვირაში ნიშნობაა. თინიკოს მშობლემა უკვე იციან. შენ თუ არ გინდა, არ წამოხვიდე. ინგას და ეკას წავიყვან.

(გავარდება ოთახიდან. თემური მაგიდაზე დატოვებულ ფულს დახედავს)

თემური: ფული მაინც დაგჭირდება, ნიშნობის ბეჭედი ხო უნდა უყიდო.

(აიღებს კონვერტს, ჯიბეში იდებს. სიბნელე)

სცენა 4. ნიშნობა

(ეკას და ინგას მაგიდაზე სარკეები უდგათ და მაკიაჟს იკეთებენ. სადღესასწაულოდ გამოწყობილან. ეკა იწყებს სიმღერას, ინგა აყვება. ერთხანს მღერიან. მათი

გოგოობის დროინდელი სიმღერაა, სენტიმენტალური, გულშიჩამოწვდომი.
მამაკაცზე ოცნებას რომ შეეხება ისეთი. სიმღერით ძალიან რომ გაერთობიან,
უცებ, ერთბაშად შეწყვეტენ და ერთმანეთს გადახედავენ. ეცინებათ, როგორც
ადრე, ბავშვობაში, როცა პირველად გაიკეთეს მაკიაჟი, გამოუცდელი,
გაუწაფავი ხელით.)

ინგა: ლაინერი კარგად მაქვს?

ეკა: ოხ, ქალი დაბერდი და ლაინერის ხმარება ვერ ისწავლე, შენ რა გითხარი...

(უსწორებს ლაინერს)

ვსიო, ახლა კარგად გაქვს.

ინგა: გო, ძაან ხო არ ყვირის ეს პამადა?

ეკა: არა, დაანებე თავი, გესვას.

ინგა: მაინც არ მომწონს.

ეკა: კაი, ეს წაისვი მაშინ.

ინგა: მომე აქით. (იშორებს რაც ესვა, ისვამს ახალს) ხო, ეს ჯობია.

ეკა: თმა კარგად მაქვს?

ინგა: მიგეტკეპნა უკან, ცოტა ნაჩოსი უნდა.

(ეკა იკეთებს ნაჩოსს)

ინგა: თემური, რას შობი ამდენ ხანს?!

ეკა: რას აცმევ, გო, თემურის?

ინგა: უფ, რაც აქვს, იმას, ახალს საიდან მოვუტანდი.

ეკა: თემური, გამოდი, დაგვენახე!

(შემოდის თემური. საზეიმოდაა გამოწყობილი, თუმცა, პიჯაკი სულ ოდნავ პატარა
აქვს, დაკვირვებული თვალი შეამჩნევს, რომ უხერხულად გრძნობს თავს,
თუმცა, ერთი შეხედვით, ბედნიერებას ასხივებს)

თემური: Ⴢა, რავალია? (დატრიალდება)

ეკა: (იცინის) უფ, გადასარევი. ძაან ბიჭი ხარ.

თემური: ოხ, თორე არ ვარ ეხლა. ბევრ ახალგაზრდას ვჯობივარ.

ეკა: შარზე ხარ, კაცო, შენ? კარგი ხარ-მეთქი, ხო გითხარი და მეტი რა ვქნა ეხლა.

ინგა: ბიჭო, ბეჭედი რა უყავი?

თემური: დათოს უდევს ჯიბეში.

ინდგა: არ დარჩეს მაგ გამოშტერებულს.

თემური: (ეკას გადახედავს) რა უნდა დარჩეს, რას ამბობ, ძლივს ფული შევაგროვეთ და...

ეკა: არა უშავს, გამოჩნდება რამე კიდევ.

(ერთბაშად უბრუნდება მაკიაჟის კეთებას)

თემური: კი, ჯონის ველაპარაკე ოთხშაბათს, ერთად დავლიეთ მერე და რამეს მოგიხერხებო.

ინგა: მაინც კაი კაცია რა, რაც არ უნდა თქვან მაგაზე.

ეკა: უხ, ოქროა. გაგება იცის, გვერდში დგომა.

ინგა: გო, ხო არ ვაგვიანებთ? დათო, სად ხარ, დედა?

ეკა: დათო, გამოდი, დაენახე ნათლიაშენს.

(შემოდის დათო. თითქმის სასიძოდ გამოწყობილი, კარგი სანახავია, ღმერთმანი)

ინგა: დედა, ჩემი სიკვდილი, საროჩკა არ დამანახო გადმოყრილი, არ გადამრიო ეხლა!

(მივარდება და ცდილობს, შარვალში ჩაუტენოს პერანგის კალთები. დათო თავიდან მოიშორებს და თვითონ ისნორებს პერანგს)

ეკა: თმა გაქ უშნოთ გაყოფილი, მოდი აქ, დამიჯექი.

თემური: მტერი ჩავარდა ამათ ხელში, დაანებეთ ახლა ბალანას თავი.

ეკა: ვინაა, ბი, ბალანა? ცოლი მოყავს კაცს დღე-დღეზე, მეტი რა ქნას?

ინგა: (უცებ ქვითინი წასკდება, ეხუტება დათოს) ჩემი ბიჭი...

ეკა: გაიწიე, ქალო, იქით, არ დასვარო ბავშვი.

ინგა: მომიკვდეს თავი! (გაიწევა, პერანგს გადაუფერთხავს, სადაც მაკიაჟიანი სახით მიეკრა, თუმცა, არ დაუთხვრია, სუფთაა)

თემური: კაი, რო მორჩებით, დამიძახეთ, თორე მტერმა გიყურათ თქვენ აქ კიდე ერთ საათს.

ინგა: რა ერთი საათი, ბიჭო, სად გვაქ ერთი საათი, არ დაიძინო ეხლა, იცოდე!
(თემური გადის)

თემური: (გარედან) კაი, კაი.

დათო: რულზე მე დავჯდები.

ინგა: შენ რატო დაჯდები ვითომ? ეკას მანქანაა და ეკა დაჯდეს.

ეკა: კაი, დათუნა, შენ დაჯექი, მაგაზე გაწყენინებ?

ინგა: (გული უჩუყდება) მოგვენსრო, გოგო, ბიჭი.

ეკა: აბა... (თმაში შეუცურებს დათოს ხელს, დათო შესამჩნევი გალიზიანებით
იცილებს თავიდან. თმას ისწორებს და გადის.)

ინგა: ანი კი ვერ მოეფერები მასე, რამხელა კაცია უკვე.

ეკა: ეჱ... ვბერდებით, გოგო.

ინგა: უფ, ვბერდები არა ისა კიდე, მე ანი ვაპირებ ცხოვრებას.

ეკა: კაი, გაჩერდი იქით.

ინგა: რა კაი გაჩერდი, ანი მიყურეთ მე თქვენ – აგერ, თემურის ჯონი დაპირდა
სამსახურს, ანუ მე კი არ მომიწევს თავის მოკვლა. ხოდა, მივხედავ თავს. მე თუ
დიეტაზე არ დავჯდე, უსინდისო ვიყო. დედის სულს ვფიცავარ, აგერ მიყურე
და ნახავ.

ეკა: მალადეც, შენ!

ინგა: ხო, აბა, სოკოსავით სანამდე უნდა ვიყო? მივეზარდე გაწერელიების სახლის
კედლებს. ცოტა მეც უნდა გამოვიჩედო თვალში. ჯერ ამ ბავშვის ქორწილი
გადავაგოროთ და მერე მე ვიცი.

ეკა: გო, ამხელა ფულს მართლა შოულობს თემური?

ინგა: კიო, მითხრა და.. მაგი არაა შენი პრობლემა, კაცების საქმეში ნუ ერევიო.

ეკა: სასწაული თუ გინდა.

ინგა: ხო, მარა რა გინდა რო ქნა? ვშოულობო და ჰა – იშოვოს. გოგო, რაღაცა
ჩატენილივით ვარ ამ კაბაში, შეხედე გვერდიდან.

ეკა: კაი დროს კი შეამჩნიე შენც. რას უზამ ახლა? დაანებე თავი და ქორწილისთვის
გადააკეთებინე. ან ჩემი ჩაიცვი რამე.

ინგა: ხო, შენი ძაან ჩამეტევა ახლა მე.

ეკა: კაი, გო, ნიშნობაა, რა მოხდა, ქორწილამდე ვიზამთ რამეს.

ინგა: ხო, მართალი ხარ.

ეკა: ვსიო, ყველაფერს მოვრჩით? არ წავიდეთ?

ინგა: ცოტა ხანში.

ეკა: მანქანით 5 წუთში იქვიქნებით.

ინგა: ხოდა, რა გვეჩერება, რას იტყვის ის ხალხი, რა ეჩერებოდათ იმ მამაცხონებულებსო.

ეკა: ინგა..

ინგა: ხო.

ეკა: ისე, დედ-მამისტოლა ხალხი რო გეყოლება მძახლებად...

ინგა: აბა, გო! თქვენობით უნდა ველაპარაკო თუ რა ვქნა?

ეკა: გვიან გააჩინეს მაგათ, ხო?

ინგა: კი.

ეკა: წამო, წავიდეთ, რაღაცა ვერ ვისვენებ, ჩემ კარგზე იცოდეს.

ინგა: დათუნა, მივდივართ.

დათუნა!

(პასუხი არ არის)

სად დაიკარგა ეს ბიჭი?

(პასუხი არ არის)

დათუნა!

ეკა: (ფანჯარაში გაიხედავს) უი, ჩასულა უკვე, მაქანაში ზის.

ინგა: არ დაკეტე მანქანა, კი მარა?

ეკა: კაი გო, ნუ აყევი შენ ამ პანიკებს, ვის რათ უნდა ჩემი ჯლანი ოპელი.

ინგა: შენ რა გითხარი!

ეკა: (ერთხანს უყურებს ინგას) რა ბედნიერი ხარ! (ეხუტება)

ინგა: ხო. ამდენი წლის მერე, მეც ბედნიერი ვარ. იცი, რაღაცნაირი გრძნობა მაქვს, გეგონება, მე ვთხოვდებოდე... არა, მართლა გეუბნები.

ეკა: მე კიდე ვერ ვისვენებ ერთ ადგილზე. დაუძახე თემურის და წავიდეთ აწი.

ინგა: თემური!

(პაუზა)

ხო არ ჩაეძინა? წავალ, შევხედავ.

(გადის. ეკა მარტოა. გაუნძრევლად ზის, ელოდება. კულისებიდან თემურის შეყვირების და ინგას კივილის ხმა ისმის. შემორბის ინგა, მოყვება თემური)

ინგა: შენ მოუკვდი არა არა შენს პატრონს!

(თემური იხევა სიცილით, ძლივს სუნთქავს)

ეკა: რა იყო, გო?!

ინგა: რა და, დეგენერატი როა ამხელა კაცი. კარის უკან იმალებოდა და გული გამიხეთქა, ისე შემაშინა.

ეკა: აფრენთ თქვენ! დროზე ქენით ეხლა, დაგვაგვიანდება, რას იტყვის ის ხალხი. შვილის ნიშნობაში დაგვიანება რა წესია.

ინგა: (მშვიდდება) ხო, მართალია. წავიდეთ აწი, თემური, დროზე!

(თემური სიცილისგან დაოსებული ჯდება სკამზე. ჯერ კიდევ უთროის მხრები)

ეკა: ჩავედი მე, დათო მანქანაში გველოდება. დროზე გამოადგით ფეხი ეხლა.

(გადის. ინგა მიდის თემურთან, უკნიდან მოეხვევა)

ინგა: თემური...

თემური: რა?

ინგა: ...არაფერი. წამო ახლა, რას უცდი? (მოსცილდება)

თემური: მიდი შენ. ტუალეტში შევალ მე და დაგეწევი.

ინგა: რა დროს ტუალეტია, კაცო.

თემური: აბა, ჩაფსმული მძახალი უნდათ ძაძამიებს, როგორ ფიქრობ?

ინგა: უფ, კაი ერთი, კაი! დროზე, გარეთ გელოდებით.

(გადის. თემური წამოდგება, გვერდით ოთახში სწრაფი ნაბიჯით გავა, ძალიან მალევე ბრუნდება, ხელში ძველებური სანადირო თოფი უჭირავს, ”ჰოლანდ ენდ ჰოლანდის” ფირმის. ოთახში შემოსვლისთანავე ფეხზე გაიხდის ცალ ფეხსაცმელს, თოფს კონდახით იატაკზე დადგამს, ლულას პირში ჩაიდებს, ფეხის თითით გამოკრავს ჩახმახს. ძალიან ბევრი სისხლია. გრძელი პაუზა)

ეპილოგი . ახალი ცხოვრება

(თემური გდია დასისხლიანებული, იგივე სურათი. რამდენიმე წელი გავიდა. ინგას წერილი ეკას. საბერძნეთიდან)

ინგა: ეკა, როგორ მომენატრა შენთან ჭორაობა, რო იცოდე. რას შვები, გო, როგორ ხარ? ხო არ თხოვდები? იცოდე, თუ რამე დამაბრუნებს ფოთში, შენი ქორწილი იქნება. თორე

სხვა მიზეზით მე მაქ დამბრუნებელი არ ვარ. ვუვლი ამ ჩემ მოხუცს და კი ვარ. იმედია, მალე არ მოკვდება, თორე რა იშოვის ახალ სამსახურს, გაჭირდა აქაც ცხოვრება.

დათუნას და თინიკოს ამბები მომწერე. თვითონ კი მიყვებიან, მარა რამეს ხო არ მიმალავენ? თინიკომ მითხრა, იანვარში მიწევს საკეისროო. კი ვეუბნებოდი, ადრეა ჯერ მეორე-მეთქი, მარა ვინ დამიჯერა. ეტყვი რამეს და დედამთილი გამოდიხარ მერე, ხო იცი. გოგო, დათუნას სამსახურის კიდე არაფერი ისმის? გეხვეწები, შენ დაურეკე ჯონის. სად შენ რო დაელაპარაკები და სად დათუნა. დათუნასაც აუხსენი, რო დედამისი აქ ფულის საჭრელ ქარხანაში კი არ მუშაობს. 500 ევრო გამოვუგზავნე ორი კვირის წინ და კიდე ფულს იხვეწება. რა ვქნა, ეკა, შენ არ იცი, მე რა პირობებში მიწევს აქ ცხოვრება. მე, ზამირა და ნათია ვქირაობთ ერთად. სოროა პატარა. ზემოდან ვაწევართ ერთმანეთს, ყველაფერს ვიკლებ, მარა რა ჯანდაბა მასუქებს მაინც, არ ვიცი. ამდენს რო ვიმშრომებ, ცოტა წონაში მაინც დავიკლებ-მეთქი და შენც არ მომიკვდე. არფერი მე არ მეტყობა. გოგოები დამცირიან, საბერძნეთის ჰაერი გიხდებაო. მაქაურობა სულ არ მენატრება, გადამენე იქით – ვის რათ უნდა ნესტიანი ფოთი – კოლო და ბაყაყი. ამათ რო ვუყურებ, ჩემ გოგოებს, როგორ ტირიან, ნერვები მეშლება, რა გატირებთ-მეთქი და შენ გული არა გაქვსო. მართლა მასეა, ეკა? შენ მაინც ხო მიცნობ, მართლა არა მაქვს გული? კაი ერთი, შენი ჭირიმე, რა დროს ესაა. ბავშვებს მიმიხედე, იცოდე, შენს მეტი ჭკუის მასწავლებელი არავინ არ ყავთ მაგათ. თემურიკოს ენაცვალოს ბებია, ვნახავ ალბათ, მაგასაც როდესმე. ხო, გოგო, კიდე რა მინდოდა მეთქვა – ის თოფი დაუბრუნებიათ პოლიციიდან, დათუნამ მითხრა. აქამდე რას უნახავდნენ, ნეტავი გამაგებინა. 3 წელი არ გავიდა? ნივთმტკიცება თუ რაღაცა ჯანდაბაა და ამდენ ხანს ინახავდნენ მაგიტო. ხოდა, რა მინდა, იცი, გთხოვო? გამოართვი დათუნას და გაყიდე იქით. ძვირიანი თოფია ეგ, ინგლისური ფირმა რაღაცა. არ გადააგდოს გოგო, ამ შტერმა ბიჭმა – ხო იცი, რანაირია დათუნა. გააყიდინე რა, მამამისისგან რაღაცა ხეირი მაინც იქნება.

კაი, გკოცნი ეხლა და მერე კიდე მოგწერ, რა დღეში ვარ მე აქ და რეებს ვუძლებ. ხო იცი, მე რა მაგარი ვარ – ყველაფერს გავუძლებ. გკოცნი და მიმიხედე ბავშვებს, შენი იმედი მაქვს.

მენატრები ძალიან, შენი ინგა

დასასრული

